დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:
ნატალია ბეიტრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნინო აბესაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო გავაშელი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ია სეხნიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240891219

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძლევიჯვარი**
ფაქტობრივი მისამართი	**ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძლევიჯვარი**
საფოსტო ინდექსი	**4500**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**http://bit.ly/3G9NVq2**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dzlevijvari@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599292294

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება N 596538 (29/05/2025) და N627276 (05/06/2025)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26 და 27 ივნისი, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**დაწყებითი**	**ქართული**	**ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძლევიჯვარი (1 შენობა)**
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო**	**ქართული**	**ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძლევიჯვარი (1 შენობა)**
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საშუალო**	**ქართული**	**ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძლევიჯვარი (1 შენობა)**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება N 596538 (29/05/2025) და N627276 (05/06/2025) საფუძველზე, მიმდინარე წლის 26 და 27 ივნისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლაში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან განხორციელდა იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნათ საგნობრივ ექსპერტებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განსაკუთრებით შესამჩნევია სასკოლო საზოგადოების მიკუთვნებულობის განცდა სკოლისადმი.

დირექცია/ მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლეებზე, მათ საჭიროებებზე. მოსწავლეებთან დაკავშირებული საკითხები წყდება მათი ჩართულობით. მოსწავლეებს ნამდვილად უყვართ სკოლა, ზრუნავენ მასზე. ფიქსირდება მოსწავლეთა ინიციატივები სკოლის კეთილმოწყობაზე, ინვენტარის შეძენაზე. სკოლა არ არის გარემონტებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის ამჟამინდელი ინფრასტრუქტურა შენარჩუნებულია და მოვლილია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის შენობის მეორე სართული გარემონტებულია სკოლის დირექციისა და მოსწავლეების მიმართვის საფუძველზე კურსდამთავრებულის დაფინანსებით და მისი უშუალო მონაწილეობით. ამავე პიროვნების ინიციატივით მოეწყო უნიკალური სასკოლო ბიბლიოთეკა. სკოლა ატარებს სკოლის კურსდამთავრებული ეროვნული გმირის სახელს. სკოლის ფოიეში მოწყობილია მისი სახელობის კუთხე. სკოლის ეზო ნაწილობრივ კეთილმოწყობილია, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და კურსდამთავრებულების მიერ. ისინი მუდმივად ზრუნავენ ნარგავების განახლებასა და მოვლა-პატრონობაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 160	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის რევიზია / შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (20.09.2025 – 20.10.2025)*
ინდიკატორი N.1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფიის დოკუმენტის გაზიარება სრულად სასკოლო საზოგადოებასთან, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		მეთოდოლოგიის" შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (20.09.2025 – 20.10.2025)
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N.3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ა)იდენტიფიცირებული მასწავლებლების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენა; ბ)სკოლის ცეცხლფარეშთან ხელშეკრულების განახლება; გ)წამყვან მასწავლებლებთან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული, სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (01.09.2025 – 15.09.2025)*
ინდიკატორი N.3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაადგინოს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (15.09.2025 – 20.09.2025)*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის შიდა პერიმეტრეზე, სასწავლო კორპუსის უკან ეზოში ნიადაგის ერთიანი საფარის მოწყობა და სარდაფში ჩასასვლელი კიბეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (25.07.2025 – 25.07.2027) უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად ტერიტორიის რეკონსტრუქციამდე კი მოაწყოს დროებითი ბარიერი, ან განათავსოს გამაფრთხილებელი ნიშნები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით აღჭურვა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (25.07.2025 – 25.07.2027)*

		სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვა შენობა ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. *(25.07.2025 – 25.07.2027)* *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.* *(აპრილი 2025 - აპრილი 2026)*
ინდიკატორი N.3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში, საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების მექანიზმის კორექტირება და მისი მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (15.09.2025 – 20.09.2025)*
ინდიკატორი N.3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, უზრუნველყოს რესურს ოთახისა და ლიფტის ან პანდუსის მოწყობა სკოლის შიდა პერიმეტრზე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.* *(25.07.2025 – 25.07.2027)*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს, სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.* *(25.07.2025 – 25.07.2026)*

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს, სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. (25.07.2025 – 25.07.2026)*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N.1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის მიერ შემუშავებული და მიღებული მისია და ხედვა, განთავსებული ყველა ოფიციალურ დოკუმენტში, ფოიესა და ვებ გვერდზე, იყოს მკაფიო, იდენტური და არ მოიცავდეს ახსნა-განმარტებით ნაწილს.
ინდიკატორი N.1.1.1.5.	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს	სკოლას მიეცა რჩევა, განაახლოს სკოლის სახელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე არსებულ მონაცემებში.
ინდიკატორი N.1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რჩევა, გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი, დააზუსტოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მუხლი 8, პუნქტი 1ზ) და მიუთითოს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის საბოლოო ვერსიის განთავსების ადგილი.
ინდიკატორი N.1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური	სკოლას მიეცა რჩევა, მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტოს ადამიანური, მატერიალური დ ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.

	ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	***რჩევა***
ინდიკატორი N.3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლას მიეცა რჩევა, ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, აქციოს ისეთ ქმედით ჩარჩო დოკუმენტად, სადაც პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები და ამოცანები განსაზღვრული იქნება სკოლაში დასაქმებულ ან/და საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პირთა შესაბამისად და თავსებადი იქნება დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
ინდიკატორი N.3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სკოლას მიეცა რჩევა, დააზუსტოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფილის პოლიტიკის დოკუმენტის მე-12 მუხლი, კერძოდ, მიუთითოს იდენტიფიცირებული პროცესების აღმწერი დოკუმენტაციის სახელწოდებები. რათა მკაფიოდ იყოს გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა, უფლებამოსილი უწყებისგან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებამდე, სკოლის ბალანსზე რიცხული გაზის ბალონი იქონიოს არადამუხტულ მდგომარეობაში სკოლის სასწავლო შენობიდან განცალკევებით მდგომ შენობაში. (იხ. ინდიკატორის აღწერა) სკოლას მიეცა რჩევა, ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
ინდიკატორი N.3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რჩევა, განაახლოს მონაცემები უძრავი ქონების რეესტრში, რათა შემდგომი ადმინისტრაციული წარმოებისთვის უფრო ნათლად ჩანდეს რა ინფრასტრუქტურას ფლობს დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.
ინდიკატორი N.3.5.1.5.	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს თავისუფალი სივრცეში სააქტო ან საკონფერენციო დარბაზის მოწყობა სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით.

ინდიკატორი N.3.6.2.1 .	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლას მიეცა რჩევა, დააზუსტოს სკოლის "საქმისწარმოების წესი", მიუთითოს, რომელი დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები უნდა იყოს დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამა*	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია დაწყებითი საფეხურის III; IV; V; VI კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა ითანამშრომლონ I დ II კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებლებთან 2025-2026 სასწავლო წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის შედგენისას.
		სპორტი - სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.
		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური - სასურველია, რომ III-IV კლასების ბუნებისმეტყველებისა და სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოებში თემები და სამიზნე ცნებები გაიწეროს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, მაგ: მე-2 კლასის ქართული ენის კურიკულუმში მუშავდება მხოლოდ ცნება „ტექსტი"
		სახელმწიფო ენა - სასურველია, კურიკულუმების ჩარჩოდ შეირჩეს ერთი და იგივე ფორმა, კათედრამ მუშობისას გამოიყენოს საუკეთესო პრაქტიკა და მომავალი სასწავლო წლისთვის თემები განაწილდეს არა კალენდარული დროის მითითებით, არამედ იმ თემების შერჩევით, რომელთა მეშვეობითაც ყველა ცნება დამუშავდება.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია, სასკოლო გეგმაში ჩასწორდეს მეორე კლასის დღის რეჟიმში გაკვეთილის ხანგრძლივობა 45 წუთის ნაცვლად, 40 წუთით. (ელექტრონულ ჟურნალში და და განხორციელების პროცესშიც, ესგ-ს შესაბამისად, 40 წუთიანი გაკვეთილები იყო მითითებული.)
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრას ვურჩევ მეტ თანაშრომლობას რათა შეთანხმდნენ ერთიან კურიკულუმის ფორმაზე. ასევე ერთად

		განიხილონ საგნობრივი სტანდარტები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და შეთანხმდენ თუ როგორ აჩვენონ კურიკულუმში სასწავლო პროცესის კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მის ძირითად პრინციპებთან. კარგი იქნება თუ მატერიალურ რესურსებთან ერთად უფრო მრავაფეროვნად გამოიყენებენ ელექტრონულ რესურებს, მათ შორის ვირტუალურ ლაბორატორიებს.
		უცხოური ენები - სასურველია, შუალედურ მიზნად განსაზღვრული დავალებები **დაწყებით და საბაზო** საფეხურზე მეტად შემოქმედებითი ტიპი იყოს. (მაგალითად,V ,VII_VIII კლასები, ინგლისური ენა, მართლწერის კონკურსები, ვიქტორინები, „საკლასო აქტივობა „რობინზონ კრუზოს ყურება“, ღია გაკვეთილი „რომეო და ჯულიეტა“ ვერ ჩაითვლება შემოქმედებითი ბუნების დავალებებად)
		უცხოური ენები - სასურველია, კურიკულუმით განსაზღვრულ შუალედურ მიზნები მიემართებოდეს ესგ_თი გათვალისწინებულ უცხოური ენების ყველა სამიზნე ცნებაზე. მაგალითად, **საბაზო და საშუალო საფეხურზე,** ინგლისური ენა, IX, XI კლასების კურიკულუმში შუალედური მიზნის არც ერთი დავალება არ ითვალისწინებს სამიზნე ცნებას „ კულტურათა დიალოგი“
		ტექნოლოგიები - სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში იქნას წარმოდგენილი დავალების იდეა.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**სპორტი** - სასურველია, დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების კურიკულუბში დაემატოს 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები.
		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური - სასურველია, კურიკულუმებში (მაგ: ბუნება I კლასი, ქართული III კლასი) მიეთითოს ძირითადი და დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია, ფიზიკის მასწავლებელმა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრის წევრებთან შეფასების რუბრიკების შედგენისას და გაიზიარონ მათი გამოცდილება და კათედრამ ერთად შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** - სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება

	განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
		ტექნოლოგიები - სასურველია, შეიქმნას თითოეული სასწავლო თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ განხორციელებული იქნას მეტი შემოქმედებითი დავალებები, რომელიც ეფუძნება კვლევას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას და პროექტულ სწავლებას და გამოიყენება იაფი ტექნოლოგიები.
ინდიკატორი N 2.2.1.2.	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს და მომდევნო სასწავლო წლებისთვის სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაასწოროს შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობების მუხლი და შეავსოს გამორჩენილი რაოდენობა.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** - სასურველია, შეიქმნას კონკრეტულ საკითხზე, დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
		ტექნოლოგიები - სასურველია, შემუშავდეს ყველა საწავლო თემის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N 2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია, ვერიფიკაციის დოკუმენტში მკაფიოდ იყოს გაწერილი იმ ადამიანების პოზიციები, ვინც პასუხისმგებელი იქნება ვერიფიკაციაზე, ხოლ ახალი სასწავლო წლიდან ბრძანებით დამტკიცდეს ვერიფიკატორთა სია.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია, კათედრის წევრებმა კურიკულუმში ასახონ ის გრიფირებული სახელმძღვანელოები (მიუთითონ ავტორები), რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში.
		ესთეტიკური აღზრდა - სასურველია, დამატებითი და ძირითადი რესურსები ყველა თემის ფარგლებში ჩაშენდეს და ის რესურსები რაც წარმოდგენილია ბმულების სახით იყოს მოქმედი. რამდენიმე ბმული არ ფუნქციონირებს.
		უცხოური ენა - სასურველია, სკოლის მიერ შერჩეული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები ასევე ასახულ იქნას სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა	**სპორტი** - სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს კალათბურთის, ფრენბურთი, ხელბურთის და ფეხბურთის ბურთები, ასევე, მცირე ზომის ბურთები (მაგ., ჩოგბურთის ბურთები), რაც ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი ვარჯიშების წარმართვას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე.

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
ინდიკატორი N2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში (ხარისხის მართვის ჯგუფი იქნება თუ სხვა).

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია .
სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციაში, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირებულ ყველა ხარვეზთან მიმართებით. გეგმაში გაწერილია ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები, გათვალისწინებულია რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. შემუშავებული მისიით, სკოლა მზადაა აღზარდოს გარემოს დამცველი, კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე. შექმნას შესაბამისი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. სკოლის ვებ გვერდზე და ფოიეში განთავსებული მისია და ხედვა, მისი ზუსტი ფორმულირების გარდა, შეიცავს ახსნა-განმარტებას მისიის ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის მიერ შემუშავებული და მიღებული მისია და ხედვა, განთავსებული ყველა ოფიციალურ დოკუმენტში, ფოიესა და ვებ გვერდზე, იყოს მკაფიო, იდენტური და არ მოიცავდეს ახსნა-განმარტებით ნაწილს.

ინდიკატორი 1.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

დაწესებულება არსებული მისიით და ხედვით ხედავს საკუთარ როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციოკულტურულ სივრცის ფორმირებაში. სკოლის მისია და ხედვაში აქცენტი გაკეთებულია ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა: კანონმორჩილება, მოქალაქოებრივი ღირებულებების, დამოკიდებულებების, ცოდნისა და კრიტიკული გააზრების კომპეტენციის შეძენა. სკოლა მიზნად ისახავს შექმნას ისეთი პირობები, რომელშიც მოსწავლე შეძლებს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელ, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 1.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმი (25.12.2024), რომლის ერთადერთი საკითხი იყო სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის პროექტის შემუშავება. აღსანიშნავია, რომ ოქმში მოხსენიებული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #02-61 (23.12.2024) და მას დავალებული აქვს სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავება. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე გვხვდება იმავე დღეს ხელმოწერილი ბრძანება #02-56, რომლის თანახმად სკოლის დირექტორი ქმნის ჯგუფს განსხვავებული შემადგენლობით, სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

აქედან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულების დამადასტურებელი მტკიცებულება, მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად.

*სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად** შესაბამისი.*

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის რევიზია / შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.09.2025 – 20.10.2025)

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების მტკიცებულებებს. კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების მიერ შევსებულ რამდენიმე კითხვარს, რომელიც შექმნილი იყო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით. ასევე, ნანახი იქნა რამდენიმე დამრიგებლის მიერ კლასის მშობლებთან და მოსწავლეებთან გაზიარებული სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის პროექტი.

სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის დირექტორის #02-60 (23.12.2024) ბრძანებით დამტკიცებული "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" შესაბამისი სხვა აქტივობები, რაც მოიაზრებს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან. მათ შორის, დოკუმენტის პროექტის სკოლის კოლეგიალური ორგანოებთან წარდგენა/შეთანხმება.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არის დაცული, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისი, სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების ეტაპები და არ არის დაფარული სრულად სასკოლო საზოგადოება.

*სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად** შესაბამისი.*

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფიის დოკუმენტის გაზიარება სრულად სასკოლო საზოგადოებასთან, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.09.2025 – 20.10.2025)

5.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა "სსიპ ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლა". აღნიშნული სახელი ფიქსირდება სკოლის ყველა დოკუმენტაციაში გარდა ამონაწერში საჯარო რეესტრიდან.

სკოლას მიეცა რჩევა, განაახლოს სკოლის სახელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე არსებულ მონაცემებში.

ინდიკატორი 1.1.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი* http://bit.ly/3G9NVq2 ;
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #02-56 (23.12.2024);*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #02-61 (23.12.2024);*
- *სამუშაო ჯგუფის ოქმი #1 (25.12.2024);*
- *სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება #02-60 (23.12.2024).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის #02-60 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია". აღნიშნული დოკუმენტი აღწერს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ, ზემოთხსენებულ მეთოდოლოგიის დოკუმენტში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, დაუსრულებელი წინადადება („სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სკოლის განთავსება"), რაც ართულების სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის პრაქტიკაში გამოყენებას. სკოლას მიეცა რჩევა, გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი, დააზუსტოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მუხლი 8, პუნქტი 1ზ) და მიუთითოს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის საბოლოო ვერსიის განთავსების ადგილი.

ინდიკატორი 1.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი (2021-2028). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნის შესაბამის ამოცანებს. დოკუმენტი დამტკიცებულია 2021 წლის 7 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს ოქმი #1-ით.

ინდიკატორი 1.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და შესაბამისად შერჩეული აქტივობები. ხოლო აღნიშნული დოკუმენტის მეათე მუხლის შესაბამისად სკოლა ყოველწლიურად განახორციელებს SWOT ანალიზს და შეაფასებს ცვლილებების განხორციელებისთვის საჭირო გარემოებებს.

ინდიკატორი 1.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.
სკოლას მიეცა რჩევა, მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტოს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.

ინდიკატორი 1.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2028);*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 (07.09.2021);*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025);*
- *სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება #02-60 (23.12.2024).*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი) ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები

წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება დანართის სახით მოცემული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 1.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასების განხორციელება ვერ ფასდება.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროება ვერ ფასდება.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება #02-60 (23.12.2024).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საიდანაც დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტებში. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის 23 იანვარს სკოლის დირექტორის #02-15 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლის დირექციის (დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი), მასწავლებლის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, დარაჯის, დამლაგებლის, ცეცხლფარეშის ფუნქციები. ასევე, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: კათედრა, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამეურვეო საბჭოს ფუნქციები. სკოლის ვებ გვერდზე ატვირთულია სკოლის სტრუქტურა - ორგანიგრამა, რომელიც არ შეესაბამება სკოლის არსებულ სტრუქტურას. კერძოდ, არ არის მოცემული მოქმედი პირი- დირექტორის მოადგილე (მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია ფუნქციები) და მოქმედი სტრუქტურული ერთეული - მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციები ასევე არ არის გათვალისწინებული სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. მრჩეველთა საბჭო შექმნილია სკოლის დირექტორის ბრძანებით და ფუნქციონირებს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ „ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში“ არ არის მოცემული ექთნის ფუნქციები (ექთნის ფუნქციები მკაფიოდაა გაწერილი ექთანთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში). ხოლო, მოცემულია ექიმის, საინფორმაციო მენეჯერის, სპეც. მასწავლებლის, მუშისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ფუნქციები. სკოლას კი არ ჰყავს შესაბამისი საშტატო ერთეული დამტკიცებული.

ვინაიდან, მოქმედი თანამშრომლების ფუნქციები რიგ შემთხვევაში ასახულია ხელშეკრულებებში, სტრუქტურა არ არის შესაბამისი მოქმედ ერთეულებთან, არსებობენ პირები, რომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და არ არის სტუქტურაში ასახული. სტრუქტურაში ფიქსირდება და ფუნქციები განსაზღვრულია პერსონალისთვის არამოქმედი ხელშეკრულებით. სკოლას მიეცა რჩევა, ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, აქციოს ისეთ ქმედით ჩარჩო დოკუმენტად, სადაც პერსონალის

ფუნქციები, მოვალეობები და ამოცანები განსაზღვრული იქნება სკოლაში დასაქმებულ ან/და საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პირთა შესაბამისად და თავსებადი იქნება დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან.

ინდიკატორი 3.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე. ფუნქცია-მოვალეობები ზუსტადაა გადანაწილებული გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ვიზიტის პერიოდში თანამშრომლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ საკუთარ ფუნქციებს.

ინდიკატორი 3.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი* ***http://bit.ly/3G9NVq2***
- *სკოლის სტრუქტურა;*
- *სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი (ბრძ. 02-15. 23.01.2025).*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 სექტემბრის 2024 წლის N3 სხდომაზე დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ

წარმოჩენასა და რეალიზებას. შინაგანაწესით სკოლას დადგენილი აქვს პერსონალის შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, დასაქმებულის დანიშვნის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების, ანაზღაურებისა და შვებულების გაცემის, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობების სახეები და სხვა. სკოლის შინაგანაწესი ცნობილია დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის, რაც დასტურდება ხელმოწერით.

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და შინაგანაწესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 3.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ზემოთაღნიშნული სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს მასწავლებლის შერჩევის წესს, რომელიც, სკოლის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად, ითვალისწინებს ვაკანტური პოზიციის შემთხვევაში გარე კონკურსამდე შიდა კონკურსის გამოცხადებას. სკოლის შინაგანაწესი, მუხლი 9 ითვალისწინებს სკოლაში დაგვიანებით გამოცხადების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესს, ასევე, სკოლის რეაგირების მექანიზმებს ამ და სხვა გადაცდომების შემთხვევაში. თანამშრომელთა ანგარიშვალდებულება გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. დირექტორის მოადგილე ასრულებს დირექტორის ფუნქციას მისი არ ყოფნის შემთხვევაში, იგი ისევე არის პასუხისმგებელი მასწავლებელთა შეცვლაზე მათი არ გამოცხადების შემთხვევაში. სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს.

ინდიკატორი 3.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის მიღების მექანიზმები. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით. კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ამ შემთხვევაში,

კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ პოზიციაზე წარდგენილი სხვა კანდიდატის შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ზემოაზღნიშნული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადისას ეყრდნობა პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი. შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი წესით. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. დირექციის (დირექტორი/ბურალტერი) საათობრივი დატვირთვა შეთანხმებულია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო მასალა და დაადგინეს მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. კანონმდებლობის შესაბამისია მაძიებელი მასწავლებლის აყვანა, დაცულია ვადები და პირობები. გარდა ამისა, შეისწავლეს პერსონალის პირადი საქმეები, აღმოჩნდა, რომ 2020 წლის შემდეგ მიღებულ მხოლოდ 2 იდენტიფიცირებულ მასწავლებელს არ აქვს წარმოდგენილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. არ არის განახლებული სკოლის ცეცხლფარეშთან 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრულია იმავე წლის 15 აპრილამდე. ასევე, წამყვან მასწავლებლებთან არ არის გაფორმებული, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული, სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები.

*სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად** შესაბამისი.*

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ა)იდენტიფიცირებულ მასწავლებლების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენა; ბ)სკოლის ცეცხლფარეშთან ხელშეკრულების განახლება; გ)წამყვან მასწავლებლებთან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული, სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2025 – 15.09.2025)

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში სულ 23 მასწავლებლია, მათ შორის 3 პედაგოგი წამყვანის სტატუსის მქონეა. პედაგოგების კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით: დიპლომი, სერტიფიკატები. საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 11 პოზიცია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში. გარდა ამისა, 3 ადამიანი (მეეზოვე, დამლაგებელი, დარაჯი) სკოლაში დასაქმებულია სოციალური პროგრამით. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი გადამზადებულია მანდატურის სამსახურის მიერ. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების, დირექტორის, ბუღალტრის, ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას დადგენილი აქვს დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები მხოლოდ დირექტორის, მასწავლებლის და ცეცხლფარეშის შემთხვევაში. ვინაიდან, სკოლას არ აქვს დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სხვა ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისთვის, მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ვერ დგინდება.

*სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად** შესაბამისი.*

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაადგინოს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2025 – 20.09.2025)

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ორგანიზაციის თანამშრომელთა ანგარიშვალდებულება გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. გუნდურად მუშაობენ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომლობენ კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო. ასევე, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება მონაწილეობის პრინციპს - დაწესებულება უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას. სკოლის პერსონალი თანამშრომლობს საკონკურსო კომისიების მუშაობის დროს. სამუშაო ჯგუფები იქმნება წარმომადგენლობითი პრინციპით. სტრატეგიული დაგეგმარებისა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიებში აღწერილია თანამშრომლობითი პროცესები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მართვის პოლტიკა და ორგნიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ინდიკატორი 3.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა გაწერილი თანამშრომელთა წახალისების ფორმები. დღესასწაულებთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. მტკიცებულების სახით სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება წარმატებული საქმიანობისთვის სკოლის ერთ-ერთი მასწავლებლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორი 3.1.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (10.09.2024);*
- *სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი (ბრძ. 02-15. 23.01.2025);*
- *შინაგანაწესი;*
- *საკონკურსო დოკუმენტაცია;*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *ბრძანება #02-23. 17.03.2025.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების გამოვლენასა და შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესის დაგეგმვას.

ინდიკატორი 3.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის მიზნობრივი განვიტარების გეგმის შედგენა. სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: მოქნილობა; სწავლის მხარდაჭერა; შეფასება, როგორც სწავლის საშუალება; პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა; უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება.

ინდიკატორი 3.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. სკოლის 2024-2025 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარება. ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდას როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე, გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ოქმები, დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

ინდიკატორი 3.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის მიღებისა და სოციალიზაციის მექანიზმები. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: მოლოდინები, შეხვედრა, „ოჯახის წევრობა“,

ანუ, სკოლის გუნდის სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფისთვის შესამჩნევი იყო თანამშრომელთა ერთიანობა, ურთიერთმხარდაჭერა და კეთილგანწყობა.

ინდიკატორი 3.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სკოლის არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები სკოლის შესაძლებლობის ფარგლებში. სკოლის დანაკლისიანი ბიუჯეტიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სკოლის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში ვიზიტის ეტაპისთვის არ არის გათვალისწინებული თანამშრომელთა ფულადი პრემია.

ინდიკატორი 3.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (10.09.2024);*
- *შინაგანაწესი;*
- *მასწავლებელთა ურთიერთდასწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. აღნიშნულზეა დაფუძნებული სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია, მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი, სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

ინდიკატორი 3.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დაწესებულებამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის დირექტორის #02-16 ბრძანებით (23.01.2025) დამტიცებული სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის დირექტორის 2025 წლის 27 ივნისს ბრძანებით კი შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც, სკოლის დირექტორთან ერთად, პასუხისმგებელია იდენტიფიცირებული პროცესების გაწერასა და შესრულებაზე. იდენტიფიცირებული პროცესები აღწერილია ცალკეულ დოკუმენტებში, რომელიც დამტკიცებულია სხვადასხვა უფლებამოსილი პირის თუ სტრუქტურული ერთეულის მიერ. ვინაიდან, ზემოთაღნიშნულ „სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში“ არ არის გაწერილი თუ რა დოკუმენტებით უნდა გაიწეროს იდენტიფიცირებული პროცესები. მეტიც, ღიადაა დატოვებული აღნიშნული ველები. სკოლას მიეცა რჩევა, დააზუსტოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფილის პოლიტიკის დოკუმენტის მე-12 მუხლი, კერძოდ, მიუთითოს იდენტიფიცირებული პროცესების აღმწერი დოკუმენტაციის სახელწოდებები. რათა მკაფიოდ იყოს განსაზღვრული კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.

ინდიკატორი 3.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესი, მუხლი 29, აღწერს დისციპლინური კომიტეტისა და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმებს. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებების გასაჩივრების ადრესატი მითითებულია სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში. სკოლასა და მშობელს

შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს მუხლს დავების გადაწყვეტის შესახებ. აღნიშნული საკითხი შეტანილია სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების მუხლში „სხვა პირობები“.

ინდიკატორი 3.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით სკოლას აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, ექთანი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი და სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია მათი უფლებების შესახებ. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეებსა და მათ მეურვეებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი გააცნობს შინაგანაწესს, მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის მუხლს და სხვა. სკოლის მიერ ნიმუშის სახით წარმოდგენილი მშობელთა შეხვედრის/კრების ოქმი, ნათლად ადასტურებს ყოველივე ზემოთხსენებულს. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ბრძ # 02-16 (23.01.2025);*
- *შინაგანაწესი;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *მშობელთა კრების ოქმი #1 (20.09.2024);*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას. სკოლის თანამშრომლები, მშობლები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს, როგორიცაა, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინფორმაცია შეფასების შესახებ და სხვა. სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის #02-12 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად სკოლა ვალდებულია საზოგადოების დაინტერესებულ წევრებს მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია, კანონის სრული დაცვითა და მათთსთვის ხელსაყრელი ფორმით (ელექტრონული ვერსია/ამობეჭდილი). ასევე, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები (განათავსოს საინფორმაციო დაფაზე, ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზე, სხვა). სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მშობლის დღეს (პარასკევი 13-საათიდან 17- საათამდე) სკოლაში. სკოლას აქვს ვებ გვერდი, გვერდი სოციალურ ქსელში, ელექტრონული ჟურნალი, რომლესაც იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით, იღებს უკუკავშირს და საჭიროების შემთხვევაში სათანადოდ რეაგირებს. სკოლას შემუშავებული აქვს ელექტრონული კითხვარი, რომლის საშუალებითაც ახორციელებს სასკოლო საზოგადოების კმაყოფილებისა თუ მუშაობის შეფასების კვლევას.

ინდიკატორი 3.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის თანახმად სკოლა ვალდებულია საზოგადოების დაინტერესებული წევრები ჩართოს სკოლის სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო, სასკოლო გეგმების შემუშავებაში. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები, რომელთა მუშაობაც მიზნობრივი და ფუნქციურია. მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა სკოლის მართვის ორგანოებში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლებით სამეურვეო საბჭოში, რომელიც არის უმაღლესი არჩევითი ორგანო და რომელთანაც ხდება სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წარდგენა დასამტკიცებლად და/ან შესათანხმებლად. მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში. პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არიან ჩართული, დისციპლინური კომიტეტი განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. მრჩეველთა საბჭო ასევე დაკომპლექტებულია წარმომადგენლობითი პრინციპით.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორი 3.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. (ბრძ. N02-12; 23.03. 2025);*
- *საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. (ბრძ. N02-13; 23.01.2025);*
- *სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი (ბრძ. 02-15. 23.01.2025);*
- *სკოლის სოციალური გვერდი* https://www.facebook.com/ia.iako.56027

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე სათადარიგო გასასვლელი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ არის აღჭურვილი ვიდეოთვალთვალის სისტემით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი სკოლის „ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით“. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სერტიფიცირებულია მანდატურის სამსახურის მიერ და ახორციელებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის მხოლოდ არადისტანციურ დათვალიერებას. სკოლას აქვს შინაგანაწესი. დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი.

სკოლის შენობაში განთავსებულია ცეცხლმაქრები და ევაკუაციის გეგმა. დაწესებულებამ მოამზადა სკოლის შენობის შიდა აზომვითი ნახაზები სართულების მიხედვით და სკოლის შენობა ნაგებობის დეტალური სახანძრო ტექნიკური შემოწმების მიწერილობა N 787- ის საფუძველზე ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გადაგზავნილია ინფრასტრუქტურის სააგენტოში (წერილი N 411882 10.04.2024). სკოლის შენობის პირველი სართული არ არის კეთილმოწყობილი. კერძოდ, მწყობრიდან არის გამოსული რამდენიმე ელექტრო ჩამრთველ/ამომრთველი, მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას, კიბის უჯრედში დამონტაჟებულია წყლის საქაჩი მოწყობილობა.

სკოლის ბალანსზე ირიცხება და შენობაში, სკოლის პერსონალისთვის განკუთვნილ ოთახში ინახება გაზის ბალონი, რომლის არასათანადოდ მოხმარება შესაძლოა საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს შენობაში მყოფ პირთათვის. საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ დანართის “სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის” თანახმად, ზოგიერთ ობიექტზე, მათ შორის სასწავლო დაწესებულებაში, აკრძალულია წვადი აირის ავზის შენახვა-გამოყენება. **სკოლას მიეცა რჩევა, უფლებამოსილი უწყებისგან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებამდე, გაზის ბალონი იქონიოს არადამუხტულ მდგომარეობაში სკოლის სასწავლო შენობიდან განცალკევებით მდგომ შენობაში.**

სკოლამ წარმოადგინა **სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

სკოლას **არა აქვს დასკვნა შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე.** ვიზიტის დღეს განხორციელდა შესაბამისი სამსახურების ვიზიტი ზემოთაღნიშნული დასკვნის მოსამზადებლად.

დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შესაბამისად მიეცა რჩევა, ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

სკოლის შიდა პერიმეტრზე, უკანა ეზოში, შეინიშნება ინფრასტრუქტურული პრობლემები, არ არის ერთიანი საფარი ნიადაგზე, დაუცველია სარდაფში ჩასასვლელი კიბეები, დგას რკინის კონსტრუქცია, რომელზეც ასვლა საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის.

ვინაიდან, სკოლის შენობის პირველ სართულსა და უკან პერიმეტრზე არსებობს ზემოთააღწერილი ინფრასტრუქტურული პრობლემები, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ არის აღჭურვილი ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, არ არის დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა და შესაბამისად არ არის **მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ,** არ არის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად გეგმავს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებას 2026 წლის აპრილამდე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

*სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც **ნაწილობრივ შესაბამისი.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის შიდა პერიმეტრეზე, სასწავლო კორპუსის უკან ეზოში ნიადაგის ერთიანი საფარის მოწყობა და სარდაფში ჩასასვლელი კიბეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (25.07.2025 – 25.07.2027) უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად ტერიტორიის რეკონსტრუქციამდე კი მოაწყოს დროებითი ბარიერი, ან განათავსოს გამაფრთხილებელი ნიშნები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით აღჭურვა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (25.07.2025 – 25.07.2027)

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვა შენობა ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
(25.07.2025 – 25.07.2027)

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც უზრუნველყოს პირველადი დახმარების აღმოჩენას საჭიროების შემთხვევაში. ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება No41/ნ/01-23/ნ-ით (2022 წლის 21 მარტი) განსაზღვრულ მოთხოვნებს. ექთნის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია და ვალდებულებები, კანონმდებლობის შესაბამისია. კანონმდებლობის შესაბამისადაა აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი.

ინდიკატორი 3.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლის შინაგანაწესის შინაარსი გამომდინარეობს საქართველოს ნორმატიული აქტების შინაარსებიდან. კერძოდ, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ და „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ნორმატიული აქტების გათვალისწინებით შემუშავებულია შიდა სამართლებრივი აქტები, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილებაზე პასუხისმგებელია სკოლის დარაჯი/კარისკაცი. სასწავლო პროცესის დროს სკოლის სართულების მიხედვით მორიგეობენ მასწავლებლები.

ინდიკატორი 3.4.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

შემუშავებულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები. თითოეულ კლასს ჰყავს დამრგებელი, შემუშავებული სადამრიგებლო პროგრამები და ვიზუალურად დათვალიერებული საკლასო ოთახები, განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა, იძლევა იმის საფუძველს, რომ დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

ინდიკატორი 3.4.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის შენობა ორ სართულიანია, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, ასევე ერთი მეეზოვე სოციალური პროგრამით. სკოლას მიეწოდება წყალი, აქვს წყლის რეზერვუარი საჭიროების შემთხვევაში. სანიტარულ ჰიგიენური ნომების დაცვაზე სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირია სკოლის ექთანი. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა დასუფთავების საშუალებების შესაძენად.

ინდიკატორი 3.4.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის #02-58 ბრძანებით 2024 წლის 23 დეკემბერს დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. ამის შემდეგ, ვიზიტის პერიოდისთვის სკოლამ მიიღო ინფორმაცია ქარელის საგანმანათლებლო რესურს ცენტრიდან, რომლის თანახმად რესურს ცენტრის კონკრეტული თანამშრომელი უზრუნველყოფს სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციის განხორციელებას. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს სკოლის ელექტრონულ ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვას არაავტორიზებული წარმომადგენლისგან.

ინდიკატორი 3.4.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

როგორც ავღნიშნეთ, სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია პირი/პირები, რომელთაც აქვთ წვდომა დაწესებულებაში დაცულ სხვადასხვა მონაცემებზე. სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლია სკოლის სამისმწარმოებელი. სკოლას ასევე განსაზღვრული ჰყავს სკოლის ელექტრონულ ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.7. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების, როგორც სკოლის დამხმარე პროცესების, პერიოდულ შეფასებას ხარისხის მართვის სამსახურის მიერ. დოკუმენტის თანახმად, პროცესი შემოწმებისთვის შეირჩევა სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტის შეფასების კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების შედეგად რეკომენდაციების შემუშავება.

ინდიკატორი 3.4.1.8. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (15.04.2025);*
- *სკოლის სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტი;*

- *სკოლის დირექტორის წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოსადმი (20.04.2024);*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
- *საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (ბრძ. N02-12; 23.03.2025);*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (ბრძ. N02-58; 23.12.2024);*
- *ბრძანება ელ. ჟურნალზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (N02-33; 01.09.2024);*
- *ბრძანება სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ბრძ # 02-16 (23.01.2025);*
- *შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა სასწავლო მიზნებისთვის იყენებს 1 შენობას, რომელიც ორსართულიანია. სკოლის შენობის ფართი 1094.80 კვ.მ. იძლევა საშუალებას, მოსწავლეები სასწავლო პროცესში ჯეროვნად ჩაერთონ, შესვენებებზე კი სრულფასოვნად დაისვენონ. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია დახურული დიდი სპორტული დარბაზი, ასევე მცირე სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ბუღალტერის კაბინეტი, ბიბლიოთეკის საცავი, ოთახები სკოლის პერსონალისთვის და 5 საკლასო ოთახი. ასევე, სველი

წერტილები (2-2 უჯრედი) ცალ ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის, 2 ცალკე სკოლის პერსონალისთვის, 1 ადაპტირებული სველი წერტილი. მეორე სართული სრულად რეაბილიტირებულია, განთავსებულია ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე, სამასწავლებლო, სკოლის დირექტორის და დირექტორის მოადგილის კაბინეტები, კომპიუტერული ლაბორატორია და 8 საკლასო ოთახი. მერხები და სკამები მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია, ყველა კლასში არის დაფა. სკოლა ფლობს და იყენებს 10 პერსონალურ კომპიუტერს, 3 ლეპტოპს. 5 პრინტერს, 2 პროექტორს, 1 ხმის გამაძლიერებელს. სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული მოედნები, ეზოში მოწყობილია სატრენაჟორო სივრცე. დათვალიერებამ ცხადყო, რომ სპორტული აქტივობებისთვის საკმარისი რესურსით არის სკოლა უზრუნველყოფილი (მაგიდის ჩოგბურთი, სავარჯიშო ლეიბები, ფრენბურთის ბადეები, ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის, ჩოგბურთის ბურთები, ლახტები, ფარები, წელის რგოლები, ბაგირი, კრივის ტომარა, ხელთათმანები და სხვა). სკოლის შენობის მეორე სართულზე ფუნქციონირებს ახლად გახსნილი ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია ულტრატთანამედროვე ინვენტარით და 1596 ერთეული ახალი წიგნადი ფონდით. სკოლის ბიბლიოთეკაში ირიცხება მხატვრული ლიტერატურა 2093 ერთეული და 1665 ერთეული გრიფირებული სახელმძღვანელო. დათვალიერებამ ცხადყო, რომ სკოლის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების სისტემატიზაციას და განახლებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით. ახალი ბიბლიოთეკა ასევე მოიცავს STEM საგნების სწავლებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსებს. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო ინვენტარი, აქვს თავისუფალი ოთახები, თუმცა არ აქვს მოწყობილი სტანდარტის შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

ამონაწერში საჯარო რეესტრიდან, ფართზე, რომელიც სკოლის ფაქტობრივ სარგებლობაშია, (საკადასტრო კოდი: 68.11.46.239) ფიქსირდება სკოლის ძველი, უკვე დემონტაჟირებული, შენობა საერთო ფართით 195.33 კვ.მ. სკოლას მიეცა **რჩევა,** განაახლოს მონაცემები უძრავი ქონების რეესტრში, რათა შემდგომი ადმინისტრაციული წარმოებისთვის უფრო ნათლად ჩანდეს რა ინფრასტრუქტურას ფლობს დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის მეორე სართული, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სამასწავლებლო, რეაბილიტირებულია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას აქვს და მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ რეკრეაციული სივრცეებით, როგორიცაა დერეფნები, სკოლის ეზო. სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია დახურული სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი და სატრენაჟორო სივრცე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის განკუთვნილი რესურსი დაცულია ცალკე

ოთახში. ვიზუალური დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა მათი ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

როგორც აღინიშნა, სკოლას აქვს თანამედროვე ბიბლიოთეკა. სკოლის ბალანსზე რიცხული გრიფირებული სახელმძღვანელოების საცავი განთავსებულია პირველ სართულზე. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე წიგნების გაცემის აღრიცხვის მტკიცებულება. ბიბლიოთეკარს აღრიცხული აქვს თითოეული წიგნი მატერიალურად, სახელმძღვანელოები დამოწმებული აქვს ბეჭდით 1-ელ გვერდზე. დაწესებულებამ წარმოადგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც არ მოიცავს სკოლის საბიბლიოთეკო რესურსის დამოწმების წესს. ასევე, აღნიშნულ წესში გრიფირებული სახელმძღვანელოს გაცემის ვადა მითითებულია „არაუმეტეს 2 კვირისა“, მაშინ როცა გრიფირებული სახელმძღვანელოები მოსწავლეებზე გაიცემა მინიმუმ 1 სასწავლო წლის ვადით. შესაბამისად, სკოლა ვერ უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენლი წესის შესაბამისად, აღნიშნულ წესში მოცემული გრიფირებული სახლმძღვანელოების მოსწავლეებზე გაცემის შეუსაბამო ვადების გამო.

*სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად** შესაბამისი.*

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში, საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების მექანიზმის კორექტირება და მისი მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (15.09.2025 – 20.09.2025)

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე. სკოლას აქვს გარე პანდუსი, რომლითაც შესაძლებელია შენობის პირველ სართულზე მოხვედრა. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 1 ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, სკოლას კი არ აქვს ლიფტი ან პანდუსი შენობის შიდა პერიმეტრზე, შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

*სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც **ნაწილობრივ** შესაბამისი.*

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, უზრუნველყოს რესურს ოთახისა და ლიფტის ან პანდუსის მოწყობა სკოლის შიდა პერიმეტრზე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (25.07.2025 – 25.07.2027)

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზევე განახორციელონ სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები.

ვინაიდან სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს თავისუფალი სივრცეში სააქტო ან საკონფერენციო დარბაზის მოწყობა სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით.

ინდიკატორი 3.5.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძ. N02-06; 23.01.2025);*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა ფლობს და იყენებს 10 პერსონალურ კომპიუტერს, 3 ლეპტოპს. 5 პრინტერს, 2 პროექტორს. აქედან, სკოლის ადმინისტრაციის სარგებლობაშია 2 პერსონალური კომპიუტერი, 1 განთავსებულია სამასწავლებლოში, 2 ბიბლიოთეკაში, 1 ლეპტოპი განთავსებულია სამედიცინო კაბინეტში. კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 6 პერსონალური კომპიუტერი, დამატებით მოსწავლეები ისარგებლებენ ლეპტოპებით. სკოლაში არის Wi-Fi სისტემა. ვიზიტის მომენტისთვის სკოლას ინტერნეტი მიეწოდებოდა 47MGPS სიჩქარით.

ინდიკატორი 3.6.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი. აღნიშნული წესი ასევე გამოკრულია სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში. კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელიც ასევე არის საგან - ტექნოლოგიების მასწავლებელი.

ინდიკატორი 3.6.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი;*
- *კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები.*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებლებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 23 იანვრის #02-13 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, დაწესებულებაში კანონით დადგენილი წესით იწარმოება საქმისწარმოება. შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი არის აკინძული და ბეჭედდასმული. სკოლის მიერ წარმოდგენილ "საქმისწარმოების წესში" არ არის დაზუსტებული

თუ რომელი დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები უნდა იყოს დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, სკოლას მიეცეა **რჩევა**, აღნიშნული სიცხადე შეიტანოს სკოლის საქმისწარმოების წესში, რათა ჟურნალების სანდოობა და მთლიანობა სრულად იყოს უზრუნველყოფილი.

ინდიკატორი 3.6.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი, გვერდი სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.6.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. მითითებულია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, არჩეული აქვთ სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები.

ინდიკატორი 3.6.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი და ვიზიტის პერიოდში შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი (ბრძ. N02-13; 23.01.2025)

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/ და მასზე განთავსებული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას. ვებ გვერდზე ასევე განთავსებულია სკოლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი. სკოლას აქვს შესაბამისი გვერდი სოციალურ ქსელშიც. სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის #02-12 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად სკოლა კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მოკავშირედ აქცევს თემს და ზოგადად, საზოგადოებას. ჯანსაღი ურთიერთობა, პირველ რიგში, აუცილებელია ბავშვის წარმატება და მისი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენისათვის, სოციუმში მომავალი ინტეგრაციისათვის.

პირისპირ კომუნიკაციის საფუძველზე ან სოციალური ქსელში, ასევე, ელექტრონულ ჟურნალის მეშვეობით მიღებული უკუკავშირი სკოლისათვის საქმიანობის გაუმჯობესების, ინტერვენციების განხორციელების საფუძველია. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დაათვალიერეს ზემოთხსენებული საკომუნიკაციო საშუალებები, ნახეს მშობლების მიერ შევსებული კითხვარები, მათზე რეაგირების ფაქტები (სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, შეფასების სისტემის ცვლილება და სხვა). აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მირებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge . პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის ისტორია, მისია, ხედვა, მიზნები, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისთვის, მოსწავლეთა ადაპტაციისა და ტრანზიციის წესი, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის წესი, რომელშიც მოცემულია პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. ასევე, შინაგანაწესი, ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქციები, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, პირველ კლასში მისაღები მოსწავლეთა რაოდენობა, ინფორმაცია სკოლის ინფრასტქუტურული და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის განხორციელებული, შესაბამისად გასაჯაროებული.

ინდიკატორი 3.6.3.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. (ბრძ. N02-12; 23.03. 2025);*
- *სკოლის ვებ გვერდი* http://bit.ly/3G9NVq2 ;
- *სკოლის სოციალური გვერდი* https://www.facebook.com/ia.iako.56027 ;
- *ელექტრონული ჟურნალი;*
- *კითხვარები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სკოლის ბიუჯეტით, რომლის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაწესებულების სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, სავარაუდო ხარჯები, ასევე, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის ბიუჯეტი, მისი დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი სამეურვეო საბჭოს ოქმები და სხვა.

ინდიკატორი 3.7.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს საკუთარი ფინანსურ ანგარიშს. ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე აბარებს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს. ამდენად, ცვლილებების განხორციელება თანმდევი პროცესია. ხორციელდება პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე (დეფიციტზე). სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობს შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი. დირექტორის ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტონულ სისტემაში e PLAN მუშაობს სკოლის შეყიდვების კოორდინატორი - სკოლის ბუღალტერი. პერიოდულად სკოლაში ტარდება ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების

ინვენტარიზაცია სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. შესყიდვის წესის შესაბამისად ხორციელდება ბაზრის კვლევა და შესყიდვები.

ინდიკატორი 3.7.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *წლიური ბალანსი;*
- *ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;*
- *ბრძანება 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 და #5;*
- *სკოლის 2024 წლის ბიუჯეტი;*
- *სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 წლის 10 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც სკოლა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტია. მისი გათვალისწინებით ხორციელდება სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვა. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს, რომელთა სახეები ასევე ასახულია სკოლის შინაგანაწესში. შინაგანაწესის დაცვის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტის გაცნობას სასკოლო საზოგადოებისთვის და გასაჯაროებას. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგურილებელი წესი, ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.

მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, ქულების დაანგარიშების მექანიზმები, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის ჩატარების წესები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სხვა სასკოლო რეგულაციები ასევე გამჭირვალე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას სრულად უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 4.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო რეგულაციების განმსაზღვრელი დოკუმენტაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან სკოლის ვებ გვერდის საშუალებით.

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში. იგი ასევე განიხილება, როგორც სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი და ეცნობა მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში, რაც დასტურდება ხელმოწერით. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა ასევე ხორციელდება სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა შეხვედრებზე დამრიგებლის მეშვეობით.

ინდიკატორი 4.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ორივე მხარეს უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესს, დავის გადაწყვეტისა და მის მარეგულირებელ კანონმდებლობას, სხვა დამატებით პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერებს.

ინდიკატორი 4.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *სკოლის ვებ გვერდი* http://bit.ly/3G9NVq2 ;
- *მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *მშობელთა შეხვედრის ოქმი #1, 20.09.2024.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დაწესებულებამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნული დოკუმენტი ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ინდიკატორი 4.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დაწესებულება იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის

მექანიზმებს, რაც დადასტურდა სკოლაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლითა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით.

ინდიკატორი 4.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის მეშვეობით აცნობს მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ამ ეტაპზე სკოლა ფასიან მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმი. სკოლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ სკოლის მიერ შემუშავებული კანონქვემდებარე მექანიზმები გამოკრულია სკოლის ფოიეში, ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 4.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული, არადისკრიმინაციული და ემსახურება საზოგადოების ინფორმირებულობას სკოლის საქმიანობის შესახებ, ასევე აწვდის სიახლეებს დაინტერესებულ მხარეს. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია დირექტორი და საქმის მწარმოებელი.

ინდიკატორი 4.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი (ბრძ. N02-10; 23.01.2025);*
- *სკოლის ვებ გვერდი http://bit.ly/3G9NVq2 ;*
- *სკოლის სოციალური გვერდი* https://www.facebook.com/ia.iako.56027;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ორი დოკუმენტი: მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი (23.01.2025) და უფრო დაზუსტებული დოკუმენტი (31.03.2025) მოსწავლეთა ადაპტაციისა და ტრანზიციის წესი. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის დაცვის კონტროლი ევალება სკოლის დირექტორის მოადგილეს.

ინდიკატორი 4.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

დაწესებულებისმიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს პირველკლასელისა და გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში განსახორციელებელ ღონისძიებებს. დოკუმენტში ასევე გათვალისწინებულია კლასის დამრიგებლის მოსალოდნელი ქმედებები სხვა საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში. დოკუმენტს თან ახლავს მშობელთან გასაუბრების თემატიკა და რეკომენდაციები მშობლებისთვის სკოლასთან ადაპტაციის მიზნით. სსსმ მოსწავლის, საბაზო და საშუალო საფეხურზე ჩარიცხულ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციის და სწავლის პირველ დღეს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ აღწერილია მოსწავლეთა ადაპტაციისა და ტრანზიციის წესში.

ინდიკატორი 4.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეთა ადაპტაციისა და ტრანზიციის წესი ითვალისწინებს როგორც წარმატებული ადაპტაციის ხელშემწყობ მექანიზმებს, ასევე მოსწავლის დეზაპტაციის შემთხვევაში განსახორციელებელ ღონისძიებებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის ვალდებულებები, მათ შორის, დამრიგებელი ვალდებულია პერიოდულად გამოკითხოს საგნის მასწავლებლები მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემების თუ ზოგადად მისი წარმატების შესახებ და გაუწიოს მოსწავლეს დახმარება აკადემიური თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საშუალო წლიური ნიშანი 5-ზე დაბალია, დამრიგებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე იმის შესახებ, რომ სასწავლო წლის ბოლომდე (ან მომდევნო სასწავლო წელს) აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა (რემედიაციის პროგრამაში ჩართვა), რათა მოსწავლემ შეძლოს საფეხურის წარმატებით დაძლევა. მტკიცებულების სახით ასევე წარმოდგენილია დაწყებითი საგნების კათედრის სხდომის ოქმი, სადაც განხილულია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები.

ინდიკატორი 4.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლის დამრიგებლის მოვალეობაა მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დასაწყისში გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია სასკოლო დაინტერესებული მხარისთვის. ელექტრონული ჟურნალი საშუალებას აძლევს მშობელს ელექტრონულად ადევნოს თვალი მოსწავლის დასწრებასა და შეფასებას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა გონივრულ ვადებში უწევს მოსწავლეს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მისი კანონიერი უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 4.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილი დამრიგებლის დებულების თანახმად, იგი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს. დამრიგებელი

მოსწავლეთა საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, ღონისძიებებს.

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციებია: შეიმუშავოს რეკომენდაციები სკოლის შინაგანაწესის შესახებ; სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით; წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით შექმნას სასკოლო კლუბი. მოსწავლეთა თვითმმართველობის 2024 წლის პირველი სხდომის ოქმიდან დგინდება, რომ მოსწავლეები გამოვიდნენ სასკოლო კლუბის "განათლება მომავლისთვის" შექმნის ინიციატივით და თავადვე შეადგინეს სამოქმედო გეგმა. კლუბი წარმატებით ფუნქციონირებდა სასწავლო წლის მანძილზე. წარმოდგენილია ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში. მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის მოადგილე.

2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში ასევე ფუნქციონირებდა სამოქალაქო განათლების კლუბი "იბერია" და "პატარა მათემატიკოსები". წარმოდგენილია ფოტო-მასალა.

ინდიკატორი 4.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ შესწავლილი მასალით დგინდება, რომ სკოლა, მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე, აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინება სასკოლო შეფასების სისტემაში. გასულ წელს სკოლის შეფასების სისტემა იყო ერთკომპონენტიანი, 2024-2025 სასწავლო წელს გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი და დაემატა "საშინაო დავალების" კომპონენტი.

ინდიკატორი 4.2.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი (ბრძ. N02-07; 23.01.2025);*
- *მოსწავლეტა ადაპტაციისა და ტრანზიციის წესი (ბრძ. N02-27; 31.03.2025) ;*
- *კათედრის სხდომის ოქმი #2, 29.12.2024;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის მასალები.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სკოლის როლს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში.

სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვას, რაც მოზარდს ღირებულებების, უნარების, დამოკიდებულების, ცოდნისა და კრიტიკული გააზრების კომპეტენციას შესძენს. სკოლაში ხორციელდება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა მე-9 და მე-11 კლასების მოსწავლეებისთვის. გაკვეთილები ტარდება პროფორიენტაციის მასწავლებლის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგით. გარდა ამისა, სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, საგნობრივ საკითხებში პროფესიების და კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებულ თემებს. ამ პროცესებში აქტიურად არის ჩართული სამოქალაქო განათლების და მე და საზოგადოების მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს შეხვედრებს პროფესიაში წარმატებულ პირებთან.

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს რეგიონში არსებულ სასწავლებლებთან და საწარმოებთან, კოლეჯ „განთიადთან“, კოლეჯ ,,ამაგთან'', გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, დავით აღმაშენებელის სახელობის თავდაცვის აკადემიასთან. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია პროფ. ორიენტაციის მიმართულებით დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილების გეგმები და ფოტო მასალა.

ინდიკატორი 4.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა გარკვეული სიხშირით აწვდის სკოლის მოსწავლეებს ინფორმაციას კარიერული შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდებათ სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით და კლასის დამრიგებლების მიერ სადამრიგებლო საათზე. როგორც უკვე აღინიშნა, ტარდება პროფ. ორიენტაციის გაკვეთილები, ხორციელდება ვიზიტები ადგილობრივ საწარმოებში და ეწყობა შეხვედრები წარმატებულ ადამიანებთან.

ინდიკატორი 4.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, შექმნას მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი კლუბები. სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს კურსდამთავრებულთა კვლევას, რათა დაადგინოს, რამდენად დაეხმარა მათ სკოლა არჩევანის გაკეთებაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს, სკოლის მიერ წარმოდგენილი, ბოლო სამი წლის მონაცემი, რომლის თანახმად კურსდამთავრებულთა 70 % აგრძელებს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში, 30 % ირჩევს ფიზიკურ შრომას, ანუ რჩება დამხმარე პროფესიაში.

ინდიკატორი 4.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;*
- *გაკვეთილების გეგმები;*
- *ფოტო მასალა*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმებს: ინდ. გეგმის შემუშავებას, შეფასებასა და შინ სწავლების პროცედურებს.

ინდიკატორი 4.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი ითვალისწინებს იმ მექანიზმებს, რაც მოსწავლეს თავს უსაფრთხოდ და დაცულად აგრძნობინებს. სკოლის მიერ

შემუსავებული მექანიზმიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსსმ მოსწავლის წინსვლა და განვითარება დაეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორი 4.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, შესაბამისად, ვერ ხერხდება აღნიშნული ინდიკატორის აღწერა.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, შესაბამისად, ვერ ხერხდება აღნიშნული ინდიკატორის აღწერა.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, შესაბამისად, ვერ ხერხდება აღნიშნული ინდიკატორის აღწერა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის N 380491 ბრძანებით (05.04.2025 წელს).

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტის მიხედვით, შემუშავების პროცესში ჩართული არიან კათედრები და კლასის დამრიგებლები, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები იყოს გათვალისწინებული, როგორც კურიკულუმის შინაარსობრივ ნაწილში, ასევე ძირითადი თუ დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევისას. დამრიგებლები და პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს საზოგადოების აზრის კვლევის შედეგებს, გამოხმაურებებს, მშობელთა კრებებზე მოსმენილ მოსაზრებებს და ეცნობიან წლიურ ანგარიშებს, რის შემდეგაც უფრო ადვილია ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, როგორიცაა მოსწავლის საათობრივი დატვირთვა, გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა, სასწავლო რესურსების შერჩევა, მოსწავლეთა მიღწევების აღწერისა და შეფასების სისტემაზე შეჯერება, სასკოლო პროექტის არჩევა.

წარმოდგენილი მასალისა და ინტერვიუების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კათედრის მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობს. ისინი კათედრის სხდომებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, რაც საფუძველს ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმების შექმნისთვის. აღნიშნული კურიკულუმები გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით. მასწავლებლები პროცესში ერთმანეთის პროფესიულ გამოცდილებას აქტიურად იყენებენ.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. არჩევითი საგნების და მეორე უცხოური ენის არჩევის პროცესს ხელმძღვანელობს და შედეგებს დირექციას აწვდის კლასის დამრიგებელი. მეორე უცხოური ენა იწყება მეხუთე კლასიდან და მშობლები და მოსწავლეები ირჩევენ ორ ალტერნატიულ უცხოურ ენას, რუსულ ენასა და გერმანულ ენას შორის - სასწავლო წლის ბოლოს მეოთხე კლასის მოსწავლეთა მშობლები მშობელთა კრებაზე გამოკითხვის პროცესში იღებენ მონაწილეობას. მოსწავლეები ირჩევენ არჩევით საგანს. X, XI და XII კლასებში არჩევითი საგნის საათობრივ ბადეში შეტანისასაც სკოლამ გაითვალისწინა მოსწავლეთა შეხედულებები და ინტერესები. მეცხრე კლასის დასასრულს მოსწავლეთა გამოკითხვით არჩეულ იქნა მსოფლიო კულტურა - მეათე და მეთერთმეტე კლასებში, ხოლო მეთორმეტე კლასში - ფოლკლორი და მითოლოგია. სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს, მასწავლებლები აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს- შესაძლებლობეს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე

გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია. მშობლებთან. ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებსა და გამოცდილებას. აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას.

ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ძლევიჯვარის საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებას აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული კურიკულუმის შემუშავებაში: კათედრებს, დამრიგებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს. კლასის დამრიგებლებმა ჩაატარეს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა და მიღებული შედეგები გაუზიარეს კათედრებს და დირექციას. თავის მხრივ, დირექცია გაეცნო მოხსენებებსა და ანგარიშებს და ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა კურიკულუმის თემები, გრძელვადიანი მიზნები, შეფასების ფორმები, შეირჩა სასკოლო პროექტი და სასწავლო რესურსი. კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და საჭიროებებს, ვინაიდან სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში. სასურველია, სკოლამ კვლავ განაგრძოს დამატებითი, ახალი აქტივობების დაგეგმვა-ჩატარება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების აქტიურად ჩასართველად კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში.

ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებებზე და გაკვეთილებზე აცნობენ მოსწავლეებს და მშობლებს სასწავლო პროგრამას, სასწავლო რესურსების ნუსხას და დაგეგმილი წლიური აქტივობების ჩამონათვალს. პედაგოგები კი პირველივე გაკვეთილზე აცნობენ შეფასების ფორმებსა და პრინციპებს (კრიტერიუმებს, რუბრიკებს). სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია და მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ.

ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N380491 05.04.2025);*

- *კათედრის ოქმები;*
- *მშობლების შეხვედრის ოქმი არჩევითი საგნების და მეორე უცხოური ენის არჩევაზე;*
- *პედ.საბჭოს ოქმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებზე დაყრდნობით შემიძლია დავადასტურო რომ შემუშავებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მოთხოვნები. კურიკულუმის ფარგლებში საბინებისმეტყველო კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებსა და შემოქმედებით დავალებებს. სასურველია დაწყებითი საფეხურის III; IV; V; VI კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა ითანამშრომლონ I და II კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებლებთან 2025-2026 სასწავლო წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის შედგენისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, სამივე საფეხურზე გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ჩრთულობა, რაზეც პედაგოგებმა ისაუბრეს შეხვედრის დროს. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თითოეული თემის ფარგლებში დამუშავებულია შედეგებიც და ცნებებიც. კურიკულუმში შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევა დასტურდება განხორციელებული პროექტებით. შესაბამისი რესურსებით; ზოგიერთ შემთხვევაში არის ასახული კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ **სამივე საფეხურზე** წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოები გვიქმნის წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და შუალედური მიზნების გათვალისწინება დაეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. პროექტული შინაარსის დავალებების საშუალებით, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. წარმოდგენილი დავალებების ძირითადი საკითხები ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა , დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, აქტივობები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ კათედრაზე საგნის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმებში ჩანს კათედრის მხრიდან მცდელობა, ააგონ კურიკულუმები ისე, რომ იგი იქცეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზად. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში იკვეთება: სახელმწიფო ენის სწავლება ეფუძნება ისეთი თემების შერჩევას, რომელთა დახმარებითაც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ინტეგრირებული პროექტი ამ პროცესს ცხადყოფს. სახელმწიფო ენის კათედრის თითოეული წევრი მზადაა გაიზიაროს არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ისე დაიგეგმოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები. სასურველია, კურიკულუმების ჩარჩოდ შეირჩეს ერთი და იგივე ფორმა, კათედრამ მუშობისას გამოიყენოს საუკეთესო პრაქტიკა და მომავალი სასწავლო წლისთვის თემები

	განაწილდეს არა კალენდარული დროის მითითებით, არამედ იმ თემების შერჩევით, რომელთა მეშვეობითაც ყველა ცნება დამუშავდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ <u>**სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე**</u> შემუშავებული კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, ყოველ სასწავლო თემაში მუშავდება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება. მათემატიკის კურიკულუმები ეხმარება მოსწავლეს სწავლასა და განვითარებაში, მასში ასევე გათვალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომა. მათემატიკის კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. მაშასადამე, მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მოწოდებული სამვე საფეხურის კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ესგ მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი და ასახავს იმ ძირითად თემებს რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში უნდა შეისწავლოს მოსწავლეებმა. სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სკოლის დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლეზე და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს აუცილებელ კომპონენტებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. **ინდიკატორი შესაბამისობასია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. სასურველია, რომ III-IV კლასების ბუნებისმეტყველებისა და სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოებში თემები და სამიზნე ცნებები გაიწეროს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, მაგ: მე-2 კლასის ქართული ენის კურიკულუმში მუშავდება მხოლოდ ცნება „ტექსტი“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმები სამივე საფეხურზე, წარმოდგენილ კურიკულუმრბში ჩანს კავშირი სტანდართთან და სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებეთან. სამივე საფეხურზე წარმოდგენილია კურიკულუმები, სადაც ასახულია ძირითადი თემები საგნობრივი სტანდარტის მიხედვით და გრძელვადიანი მიზნები. საურველია, კათედრის წევრების მეტი თანაშრომლობა, რათა შეთანხმდნენ ერთიან კურიკულუმის ფორმაზე. ასევე ერთად განიხილონ საგნობრივი სტანდარტები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და შეთანხმდენ თუ როგორ აჩვენონ კურიკულუმში სასწავლო პროცესის კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მის ძირითად პრინციპებთან. კარგი იქნება თუ მატერიალურ რესურსებთან ერთად უფრო მრავალფეროვნად გამოიყენებენ ელექტრონულ რესურებს, მათ შორის ვირტუალურ ლაბორატორიებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს.საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი არის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად . **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების , შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება. სასურველია, კურიკულუმით განსაზღვრულ შუალედური მიზნები მიემართებოდეს ესგ_თი გათვალისწინებულ უცხოური ენების ყველა სამიზნე ცნებაზე. მაგალითად, **საბაზო და საშუალო საფეხურზე,** ინგლისური ენა, IX, XI კლასების კურიკულუმში შუალედური მიზნის არც ერთი დავალება არ ითვალისწინებს სამიზნე ცნებას „ კულტურათა დიალოგი“. სასურველია, შუალედურ მიზნად განსაზღვრული დავალებები **დაწყებით და საბაზო** საფეხურზე მეტად შემოქმედებითი ტიპის იყოს. (მაგალითად,V ,VII_VIII კლასები, ინგლისური ენა, მართლწერის კონკურსები,ვიქტორინები, „საკლასო აქტივობა „რობინზონ კრუზოს ყურება“, ღია გაკვეთილი „რომეო და ჯულიეტა“ ვერ ჩაითვლება შემოქმედებითი ბუნების დავალებებად) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შექმნილი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. თუმცა იკვეთება ცალკეულ კლასებთან მიმართებაში გარკვეული ხარვეზები. დაწყებითი საფეხური: მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალების, პროექტებისა თუ ღონისძიებების, პრაქტიკაში დანერგვის და განხორციელების, იაზრებენ კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტრების მნიშვნელობას და აქვთ მზაობა მოიყვანონ საგნის კურიკულუმები სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სამივე საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. შერჩეული კომპლექსური ბუნების დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ **<u>სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე</u>** წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში ზუსტადაა გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს შემოქმედებითი ტიპის დავალების დახმარებით განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი ტიპის დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების (კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობის და სხვა) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება. კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი , კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. პირველი კლასის კურიკულუმში არ არის მოცემული შემოქმედებითი დავალების იდეა. სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში იქნას წარმოდგენილი დავალების იდეა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანს. ძირითადად ჩანს სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, საფეხურის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ვადასტურებ რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. რესურსები წარმოდგენილია სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ყველა საგანში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მათი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ მრავალფეროვან რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას აქვს შესაძლებლობა და მზაობა სწავლების **სამივე საფეხურზე** გამოიყენოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, შესაბამისად უზრუნველყოს მათ მიერ გაწერილ კურიკულუმში მოაზრებული შედეგების მიღწევა. უცხოურ ენებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში , კურიკულუმის ჩარჩოებში, ისევე როგორც განხორციელებული აქტივობის დამდასტურებელ დოკუმენტაციაში ასახულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ძირითად რესურსებად მითითებულია შესაბამისი კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოები, აგრეთვე დამატებითი სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო ელ.რესურსები. წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმებიდანაც ჩანს, აღნიშნული რესურსების მიზნობრივი გამოყენება. ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები წლის დასაწყისში დამტკიცებულია კათედრის სხდომის ოქმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ **<u>სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე</u>** წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებული რესურსები: შესაბამისი კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, ტელესკოლა) წარმატებით უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლაში მასწავლებელთათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები და სხვა), რომლებსაც პედაგოგები წარმატებით იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. სასურველია დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების კურიკულუბში დაემატოს 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. აგრეთვე კურიკულუმებში არის წარმოდგენილი ონლაინ რესურსები და ვიდეო ბმულები. საგნობრივი კათედრები განიხილავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ სასკოლო სასწავლო რესურსების ვალიდურობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები : გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით . სასურველია კურიკულუმებში (მაგ: ბუნება I კლასი, ქართული III კლასი) მიეთითოს ძირითადი და დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე მორგებული, საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეა ინტერესებს შემოქმედებითი დავალებებისა თუ სხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვისას. ამას ადასტურებს როგორც კათედრის ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაც. მაგ: პირველი კლასის მასწავლებლის რეფლექსია სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომაზე. სასურველია, ფიზიკის მასწავლებელმა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრის წევრებთან შეფასების რუბრიკების შედგენისას და გაიზიარონ მათი გამოცდილება და კათედრამ ერთად შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს

	დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც ჩანს მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ დავალებებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კურიკულუმის ჩარჩოები, თემატური მატრიცები, გაკვეთილის გეგმები, მასწავლებელთა რეფლექსიები) ირკვევა, სწავლა-სწავლების პროცესი არის ინკლუზიური. უცხოური ენის სწავლების პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები . უცხოური ენების მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა სწავლის სტილს, მზაობას,ინტერესს,შესაბამისად ახდენენ როგორც დავალებების პირობის, ასევე აქტივობების მოდიფიცირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში გამოიკვეთა შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მათთვის ეფექტური და მრავალფეროვანი გზით გამოხატონ. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სწავლების პროცესში დავალებები მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს – ხდება პირობების ადაპტირება, სირთულის დონის დიფერენცირება და რესურსების შერჩევა ინდივიდუალური თავისებურებების მიხედვით. ეს მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, ქმნის მოტივაციას და უმაგრებს საფუძველს ცნობიერ სწავლებას – მოსწავლეები ხვდებიან, რატომ სწავლობენ და როგორ გამოიყენონ ნასწავლი პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში, ინტეგრირებული პროექტის მასალებში, კომპლექსური ბუნების დავალებებში, მოსწავლეთა წარმოდგენილ ნამუშევრებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. პირველი სემესტრის ბოლოს ჩატარებული კათედრის სხდომის ოქმში ერთ-ერთ საკითხად განხილულია ,,დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში", რაც ცხადყოფს, რომ საგნის სწავლებისას დიდი ყურადღება ეთმობა დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ **<u>სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე</u>** წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ შემოქმედებითი ტიპის

	დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ყოველი კლასის კურიკულუმს თან ახლავს ამ კლასში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებების მოსწავლის ბარათები, რომლებიც უზრუნველყოფენ მასწავლებლის მხრიდან თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურ მიდგომას. სკოლაში შექმნილია მათემატიკის მოყვარულთა კლუბი ,,პატარა მათემატიკოსები'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მათემატიკის პოპულარიზაციას და გაზარდოს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება მათემატიკაში. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლები მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებების გათვალისწინებით არეგულირებენ ფიზიკურ დატვირთვის მოცულობასა და ინტენსივობას. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ რეფლექსიებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. თუმცა სკოლაში ამ დროისათვის არ ირიცხებიან სსსმ და შშმ მოსწავლეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრამ წარმოადგინა სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) განსმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ადასტურებ რომ შეფასება ხდება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად. მოსწავლე ფასდება საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი ცნებებისა და ცნების ინდიკატორების მიხედვით თითეულ თემასთან/საკითხთან მიმართებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ საფეხურების შესაბამისად წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, შექმნან დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**სამივე საფეხურზე** უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებულია შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ერთი თემის ფარგლებში გაწერილ შუალედურ მიზნებზე, ასევე ზოგადი რუბრიკები, როგორიცაა პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის რუბრიკა, მოსმენის,ლაპარაკის, შემაჯამებელი სამუშაოების შეფასების სქემები და ა.შ. შექმნილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები. ნათლად ჩანს, კათედრას აქვს მზაობა , განახორციელოს შეფასება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, გაკვეთილის გეგმებს, შემაჯამებელ სამუშაოებს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პედაგოგები იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება

	გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ <u>**სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე**</u> წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია მათემატიკაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდაა გაწერილი მათემატიკის ოთხივე მიმართულების მიხედვით შეფასების კრიტერიუმები. მოცემული შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები, ასევე მოცემულია დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. სკოლას წარმოდგენილი აქვს მათემატიკაში მე–6, მე–9 და მე–12 კლასებში თითო–თითო შემაჯამებლი შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით. ასევე წარმოდგენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული მოცემული შემაჯამებელი და მისი შეფასება. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მოცემული რუბრიკის ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ თითოეული თემების შესწავლის შეფასების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კათედრამ წარმოადგინა სამივე საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სწავლებისას გათვალისწინებულია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებლი შეფასების რუბრიკები და სქემები. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებეში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში რაც ზრდის სანდოობას. სასურველია, შეიქმნას თითოეული სასწავლო თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კლასებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ესთეტიკის კათედრა

ესთეტიკის კათედრის საგნობრივი კურიკულუმები
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
*საგნობრივი კურიკულუმები საგან **ტექნოლოგიებ**ისთვის;*
შეფასების რუბრიკები საგან ტექნოლოგიებისთვის;
გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია, უკუკავშირი საგან ტექნოლოგიებისთვის.

სპორტი: სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, ოქმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კომლექსური დავალებები, რეფლექსიები.

უცხოური ენები: *ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩოები (I_XII კლასები);*
რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოები (V _XII კლასები);
გერმანული ენის კურიკულუმის ჩარჩოები (VII კლასი);
უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა (2024-2025 სასწ/წელი);
თემატური მატრიცები (ინგლისური ენა);განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შუალედური მიზნებისთვის ;
განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები ;
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
მოსწავლეების ნამუშევრების ამსახველი ფოტომასალა;
ინგლისური ენის მასწავლებლების ანგარიში 1 სემესტრში გაწეული საქმიანობის შესახებ;
განხორციელებული პროექტების/ვიქტორინების/ჩატარებულ ინტეგრირებული გაკვეთილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
მასწავლებლების რეფლექსიები ;
გაკვეთილის გეგმები;
შემაჯამებლის ანალიზები;

***საბუნებისმეტყველო მეცნიერებ**ის კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნბრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*

- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (სამივე საფეხური)*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზები (საბუნებიმეტყველო მეცნიერებები) სამივე საფეხურზე*
- *დიფერენცირებული სწავლების რეფლექსია ბუნებაში*

- *შემოქმედებითი დავალებების ამსახველი, ფოტო/ვიდეო მასალა; პრზეზენტაციები; ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი მასალა (საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრა)*
- *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიში*
- *სკოლის მატერიალური რესურსები ამსახველი ფოტო მასალა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.*

მათემატიკა: *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*

- *მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 წ.;*
- *მათემატიკის კლუბის დებულება და ანგარიშები;*
- *მათემატიკის კათედრის ოქმები;*
- *შემოქმედებითი დავალების მოსწავლის ბარათები;*
- *შეფასების რუბრიკები მათემატიკაში ;*
- *მათემატიკაში მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალების (შეფასებით) ნიმუშები.*

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;*
- *კათედრის ოქმები;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *პროექტების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა;*
- *შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები;*
- *მასწავლებელთა რეფლექსიები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების და სხვა განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა, ასევე საბუნებისმეტვლეო მეცნიერებების კათედრის ანგარიში ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ განხორციელებული იქნას მეტი შემომქდებითი დავალებები, რომელიც ეფუძნება კვლევას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას და პროექტულ სწავლებას და გამოიყენება იაფი ტექნოლოგიები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც შემოთავაზებული შუალედური მიზნები, თემები/ქვეთემები, ძირითადი საკითხები , კონტექსტ-მაგალითები, შედარების მაგალითები, ძირითადი და დამატებითი რესურსები

	უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები პირველი და მეორე უცხოური ენების გრძელვადიანი მიზნებთან(შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან და წარმოდგენილი სხვა მასალებიდან, იკვეთება,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით პროცესში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ სხავადასხვა აქტივობებზე, რაც იძლევა იმის დასკვნის საფუძველს ,რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. რჩევა: სასურველია,მომავალი სასწავლო წლისთვის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კათედრამ გაითვალისწინოს არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ყველა კლასისთვის შედგეს ერთნაირი დიზაინის სრულყოფილი კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ <u>**სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე**</u> წარმოდგენილ კურიკულუმებში ზუსტად და თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი შესაბამის კლასში შესასწავლი საკითხი/საკითხთა კლასტერი, მათი სწავლებისთვის საჭირო სასწავლო საგანმანათლებლო რესურსები. ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა სწავლების შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები იძლება იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია.შერჩეულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები,თუმცა

	შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე — დოკუმენტაციისა ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ადაპტირდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მდგომარეობის მიხედვით. პედაგოგები აქტიურად ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი აზრისა და ცოდნის გამოხატვის სხვადასხვა ფორმით, რაც ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლა ითვალისწინებს მასწავლებლების გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც უწყობს ხელს გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას და სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს და მომდევნო სასწავლო წლებისთვის სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაასწოროს შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობების მუხლი და შეავსოს გამორჩენილი რაოდენობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო: სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილია განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული საკითხებისათვის . შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების ანალიზები , მოსწავლეთა როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები. ასევე უცხოური ენების კათედრა ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რომელთა ანალიზის საფუძველზე გეგმავს/მოდიფიცირებას უკეთებს კურიკულუმს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით , უცხოური ენების მიერ განხორციელებული შეფასებები არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. ორივე საგანში -ხელოვნება ,მუსიკა ვიყენებთ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აგრეთვე აქვთ მზაობა დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის მიერ მოწოდებული მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, რომლებშიც გასაგებად არის გაწერილი, თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), შემიძლია დავასკვნა, რომ შეფასების სისტება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ <u>**სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე**</u> წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება

	მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს მეტწილად აქვს გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ და რაში ფასდებიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე ეხმარება მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწეევები. შეფსების რუბრიკა აჩვენებს მოსწავლეს რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რას შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის. სასურველია, შემუშავდეს ყველა საწავლო თემის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სასურველია, შეიქმნას კონკრეტულ საკითხზე, დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სსიპ ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ: 2025 წლის 27 ივნისის N 774096 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის ესგ-ს მოთხოვნებთან შესაბამისობას. მექანიზმი სამი მიმართულებით მუშაობს: ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, პროცესს და მტკიცებულებებს. მექანიზმი ჯერ ახალი შემუშავებულია და პროცესი არ განხორციელებულა, თუმცა დოკუმენტში კარგად არის აღწერილი პროცესი და ვერიფიკაციაში ჩართული პირების მოვალეობები და პასუხისმგებლობები.დოკუმენტში აღწერილია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა, შეფასების მიმართულებები, შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი , შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა, შეფასების შედეგებზე მოსწავლის ინფორმირების სისტემა, შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესი და პროცედურები და სხვა , ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული წესები.

სასურველია, ვერიფიკაციის დოკუმენტში მკაფიოდ იყოს გაწერილი იმ ადამიანების პოზიციები, ვინც პასუხისმგებელი იქნება ვერიფიკაციაზე, ხოლო ახალი სასწავლო წლიდან ბრძანებით დამტკიცდეს ვერიფიკატორთა სია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველჰყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. აღნიშნულის შესახებჩანაწერი გაკეთებულია ვერიფიკაციის წესში მუხლი N8. სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგებს შენახული ჰქონდათ მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვა და შემაჯამებელი სამუშაოები სადამრიგებლო კლასების სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სპორტი: სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,

საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ამსახველი მასალა, პედაგოგების ანგარიშები, განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები.

ესთეტიკა:

ესთეტიკის კათედრის საგნობრივი კურიკულუმი
შეფასების რუბრიკები
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
სასწავლო პორცესში გამოყენებული აქტივობები/მასალები.
*საგნობრივი კურიკულუმები საგან **ტექნოლოგიებ**ისთვის;*
შეფასების რუბრიკები საგან ტექნოლოგიებისთვის;
გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია, უკუკავშირი საგან ტექნოლოგიებისთვის.

მათემატიკა:

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები;*
- *მათემატიკის კათედრის ოქმები;*
- *შემოქმედებითი დავალების მოსწავლის ბარათები;*
- *შეფასების რუბრიკები მათემატიკაში ;*
- *მათემატიკაში მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალების (შეფასებით) ნიმუშები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 წ.;*
- *მათემატიკის კლუბის დებულება და ანგარიშები;*

უცხოური ენები:

- *განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შუალედური მიზნებისთვის ;*
- *განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები ;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (სოლო ტაქსონომიის მიხედვით, ინგლისური ენა);*
- *შემაჯამებლის ანალიზები;*

***საბუნებისმეტყველო მეცნიერების** კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*

- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (სამივე საფეხური)*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზები (საბუნებიმეტყველო მეცნიერებები) სამივე საფეხურზე*
- *დიფერენცირებული სწავლების რეფლექსია ბუნებაში*
- *შემოქმედებითი დავალებების ამსახველი, ფოტო/ვიდეო მასალა; პრეზენტაციები; ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი მასალა (საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრა)*
- *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიში*

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;*
- *კათედრის ოქმები;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *პროექტების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა;*
- *შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები;*
- *მასწავლებელთა რეფლექსიები.*

- **სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ვადასტურებ რომ სასწავლო პროცესში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრულის ძირითადი სასწავლო რესურსები - გრიფირებული სახელმძღვანელოები და ელექტრონული რესურსები. სასურველია კურიკულუმში აისახოს ის გრიფირებული სახელმძღვანელოები (მიეთითოს ავტორები), რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	რესურსები სრულდ შეესაბამება ეროვნული სასწვლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და შესასწავლ თემებს.მასწავლებლების მხრიდან აქტიურად გამოიყენება ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**სამივე საფეხურზე** წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, უცხოური ენების მიერ შერჩეული ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. სასურველია, სკოლის მიერ შერჩეული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები ასევე ასახულ იქნას სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულიმში ჩაშენებულია სასწავლო რეესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით . სასურველია დამატებითი და ძირითადი რესურსები ყველა თემის ფარგლებში ჩაშენდეს და ის რესურსები რაც წარმოდგენილია ბმულების სახით იყოს მოქმედი. რამდენიმე ბმული არ ფუნქციონირებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო კათდრის მიერ სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელომძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ **<u>სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე</u>** წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია რესურსები: შესაბამისი კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, ტელესკოლა), მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos დასხვა. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ყველა მითითებული რესურსი წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (სპორტული ინვენტარი), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. გარდა სახელმძღვანელოებისა სკოლა აქტიურად იყენებს ინტერნეტში გავრცელებულ ონლაინ რესურსებს, ვიდეო რგოლებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მორგებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა იყენებს სკოლაში არსებულ დამხმარე მატერიალურ რსეუსრებს სკოლის ლაბორატორიიდან. ასევე სხვადასხვა ელექტრონულ

	რესურსებს. ეს რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს, დაცულია ვალიდურობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე შერჩეული დამხმარე სასწავლო რესურსები ემსახურება კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევას, უზრუნველყოფილია მათი ვალიდურობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რადგან ის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დაცვისთვის, რომ არ მიიღოს გადაუმოწმებელი არასწორი ინფორმაცია, აღნიშნეს, რომ რესურსი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგნის კონკრეტულ თემატიკას, ასაკობრივ დონეს და პროგრამას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება სახელმწიფო ენის შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ <u>**სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე**</u> წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე სასწავლო რესურსები: ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, ტელესკოლა; მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos. ყველა კურიკულუმი შემუშავებულია მათემატიკის კათედრის მიერ, შესაბამისად მათში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კათედრები განიხილავენ და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ამტკიცებენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ დამხმარე სასკოლო სასწავლო რესურსების

	ვალიდურობას. სკოლამ წარმოადგინა რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრის შეხვედრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე არ იგეგმება ისეთი აქტივობები რომელიც მოითხოვს ექსპერიმენტებს ლაბორატორიაში, ამიტომ დაწყებითი საფეხურისთვის სკოლაში არსებული მატერიალური რსეურსები უხრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევა (შესაძლებელია სხვადასხვა მოდელების და ხელსაწყოების კლასში გატანა) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე** სკოლას არ აქვს სრულფასოვანი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია- არსებობს მხოლოდ ერთი ოთახი, სადაც ინახება სხვადასხვა რესურსები. სკოლას არ აქვს საშუალება ზოგიერთი რესურსის გამოყენების განსაკუთრებით ქიმიური ექსპერიმენტების დროს, როდესაც შესაძლებელია მავნე აირების გამოყოფა და აუცილებელია გამწოვი. საბუნებისმეტყველო საგნებში სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩატარებისას აუცილებელია ჰიგიენური პირობების, სისუფთავის და უსაფრთხოების დაცვა (ხელსაწყოების გარეცხვა, მავნე ნივთიერების კანზე მოხვედრის შემთხვევისას წყლით სწრაფად ჩამობანა). ამ საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებელია წყლის ხელმისაწვდომობა - ონკანის სახით. ვინაიდან, სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სადაც არის ონკანი და გამწოვი სისტემა, რაც ზღუდავს კვლევითი/ლაბორატორიული სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას, ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას საბაზო და საშუალო საფეხურზე.

	*სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად** შესაბამისი.* *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს, სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. (25.07.2025 – 25.07.2026)*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა იყენებს ელექტრონულ რესურსებს, რაც წარმოდგენილია კურიკულუმში.სკოლას აქვს თემატური სასწავლო რუკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**სამივე საფეხურზე შესაძლებელია** იმ მატერიალური რესურსების გამოყენება, რომელიც განსაზღვრულია კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების სრულყოფილად მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ **<u>სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე</u>** წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე სასწავლო რესურსები: ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, ტელესკოლა. მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos. სკოლას აქვს ინტერნეტი, საჭიროების შემთხვევაში პროექტორი და ეკრანი, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევისთვის ყველა პედაგოგი და მოსწავლე უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას გააჩნია ფრენბურთის ბადე, კალათბურთის ფარები, ბურთები, ნიშნულები, ტრენაჟორები, ჩოგბურთის მაგიდა, ბაგირი, ტაიჭი და სხვა სპორტული ინვენტარი, რომელიც მითითებული კურიკულუმებში.

	სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს კალათბურთის, ფრენბურთი, ხელბურთის და ფეხბურთის ბურთები, ასევე, მცირე ზომის ბურთები (მაგ., ჩოგბურთის ბურთები), რაც ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი ვარჯიშების წარმართვას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლაში სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალური რესურსით, სკოლას ამ ეტაპზე აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, არაა საკმარისი ტექნიკა 6 კომპიუტერია მხოლოდ და მოსწავლეებს მოაქვთ ბუკები და ერთად აკეთებენ დავალებებს ან წყვილებში. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, ჰყავს ერთი ისტის უფროსი მასწავლებელი. მისი კვალიფიკაცია იძლევა საშუალებას რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის გამოყებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს 30 დასაქმებული პირი, აქედან: 23 პედაგოგია (მაძიებელი - 1, უფროსი - 19, წამყვანი -3), რომელთაგან ერთი დირექტორია, ერთი - ბუღალტერი და ერთი-საქმისმწარმოებელი.

კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი სკოლას ჰყავს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი (ბრძ. #*774096, 27.06.2025);
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
- *Eschool-ის ბაზა;*

სპორტი: სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, სპორტული ინვენტარის ამსახველი ფოტომასალა.

ესთეტიკის *კათედრის საგნობრივი კურიკულუმი;*

საგნობრივი კურიკულუმები საგან ***ტექნოლოგიების****თვის;*

შეფასების რუბრიკები საგან ტექნოლოგიებისთვის;

გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია, უკუკავშირი საგან ტექნოლოგიებისთვის.

უცხოური ენები:

- *ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩოები (I_XII კლასები);*
- *რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოები (V _XII კლასები);*
- *გერმანული ენის კურიკულუმის ჩარჩოები (VII კლასი);*
- *უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა (2024-2025 სასწ/წელი);*
- *თემატური მატრიცები (ინგლისური ენა);*
- *განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შუალედური მიზნებისთვის ;*
- *განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები ;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (სოლო ტაქსონომიის მიხედვით, ინგლისური ენა);*
- *მოსწავლეების ნამუშევრების ამსახველი ფოტომასალა;*
- *ინგლისური ენის მასწავლებლების ანგარიში 1 სემესტრში გაწეული საქმიანობის შესახებ;*
- *განხორციელებული პროექტების/ვიქტორინების/ჩატარებულ ინტეგრირებული გაკვეთილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *მასწავლებლების რეფლექსიები ;*
- *გაკვეთილის გეგმები;*

- *შემაჯამებლის ანალიზები;*

მათემატიკა

1. *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები;*
2. *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
3. *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
4. *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 წ.;*

- ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;*
- *კათედრის ოქმები;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *პროექტების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა;*
- *შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები;*
- *მასწავლებელთა რეფლექსიები.*

საბუნებისმეტყველო მეცნიერების *კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*

- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (სამივე საფეხური)*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზები (საბუნებიმეტყველო მეცნიერებები) სამივე საფეხურზე*
- *დიფერენცირებული სწავლების რეფლექსია ბუნებაში*

- *შემოქმედებითი დავალებების ამსახველი, ფოტო/ვიდეო მასალა; პრეზენტაციები; ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი მასალა (საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრა)*
- *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიში*
- *სკოლის მატერიალური რესურსები ამსახველი ფოტო მასალა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. იგი ახალი შემუშავებული დოკუმენტია სკოლისთვის, მხოლოდ მიმდინარე წლის 5 აპრილს დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით და ჯერ განხორციელების პროცესი არ დაწყებულა.

სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში (ხარისხის მართვის ჯგუფი იქნება თუ სხვა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია მონიტორინგის პროცესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რაც აუცილებლად აჩვენებს სკოლას გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებსა და შესაძლებლობებსაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია კვლევისა და შეფასების პროცესიც, რომელიც მოემსახურება პედაგოგებში საჭიროებების დადგენასა და მათ გადამზადებას სკოლის ბაზაზე.

სკოლას ჰყავს ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის როგორც დირექტორი და მისი მოადგილე, ასევე სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლები. სკოლაში სუფევს თანამშრომლობითი და საქმიანი გარემო, რასაც ადასტურებს არსებული თანამშრომლების სკოლაში მუშაობის სტაჟი და თანამშრომელთა გადინების თითქმის ნულოვანი მაჩვენებელი. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს და სხდომებზე განიხილავენ წარმატებული გაკვეთილების ნიმუშებს, გაცემულ რეკომენდაციებს და სხვა საჭირბოროტო საკითხს, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება სასკოლოლ საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის დამტკიცების შესახებ;*
- *ურთიერთდასწრებები;*
- *კათედრების ანგარიშები;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ეყრდნობა როგორც მოხსენებებსა და ანგარიშებს, ასევე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციას, აკვირდება მათი მიღწევების დინამიკას. სასწავლო წლის განმავლობაში გაკვეთილებზე დასწრება, ღონისძიებები, განხორციელებული პროექტები ასევე ნათელ სურათს იძლევა მუშაობის შესაფასებლად. სკოლაში ყოველწლიურად მიმდინარეობს მოსწავლეთა და მშობლების გამოკითხვა და ანკეტირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა მუშაობას აფასებს როგორც აკადემიური საათების და აკადემიური მოსწრების მიხედვით, ასევე ითვალისწინებს დამატებით მუშაობას, ღონისძიებებს, მშობელთა და მოსწავლეთა განწყობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასებისათვის, სკოლა იყენებს როგორც წერით, ასევე ზეპირი გამოკითხვას და ანკეტირებას, ასევე უკუკავშირს სკოლის სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ვიზიტის დროს დირექციის წევრებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას ცდილობენ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებას (დირექტორის მოადგილისა და პედაგოგების მიერ შემაჯამებელი დავალებების სემესტრული ანალიზები, დირექტორის მოადგილის მიერ კლასის საერთო აკადემიური მოსწრების სემესტრული და წლიური ანალიზი, 1-4 კლასის მოსწავლეთა და მე-5 კლასის პირველ სემესტრში მოსწავლეთა შესაფასებლად გამოყენებული განმავითარებელი შეფასებები, კითხვარები და სხვა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;*
- *კათედრების ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

წლის განმავლობაში კათედრების შეხვედრებზე პედაგოგები უზიარებენ გამოცდილებას საგაკვეთილო პროცესსა თუ წერებში გამოვლენილი საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ, რაც შემდეგ აისახება მომავალი სასწავლო წლის განახლებულ კურიკულუმებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტების მიერ ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *SWOT ანალიზი;*
- *კათედრების ანგარიშები;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 04/08/2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: